
საქართველოს ენერგეტიკული სექტორის ჰარმონიზაცია ევროკავშირთან დადებული ასოცირების ხელშეკრულების მოთხოვნებთან

საქართველოში ენერგო მარეგულირებელი ორგანო 1996 წელს დაარსდა, ბევრად უფრო ადრე, ვიდრე ევროკავშირის ქვეყნებში. 1997 წლიდან ენერგო მარეგულირებელი გახდა დამოუკიდებელი ორგანო, ხოლო 1998 წლიდან კი მას ბუნებრივი აირის სექტორის რეგულირების ფუნქცია დაემატა.

დღეს კი უკვე საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ორგანო ენერგეტიკის, ბუნებრივი აირის და წყალმომარაგების რეგულირების ფუნქციასაც ასრულებს. მისი ფუნქციონირება და როლი განისაზღვრება საქართველოს კანონით ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ და საქართველოს კანონი დამოუკიდებელი ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების შესახებ.

საქართველოს კანონში ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ ენერგეტიკის სფერო მოიცავს შემდეგს: **ლიცენზიების გაცემის წესები და ელექტროენერგიის ლიცენზიების გენერაცია, გადაცემა, დისპეჩერიზაცია და განაწილება, კონტროლი ლიცენზირების შესრულების პირობების და ჯარიმების დაკისრება მათი დარღვევისთვის. ასევე, ელექტროენერგიის წარმოების ტარიფების განსაზღვრა და მათი გენერაცია, გადაცემა, დისპეჩერიზაცია, განაწილება, იმპორტისა და მომსახურების ელექტროენერგეტიკული სისტემის ოპერირება, ასევე, ტარიფების გარანტირებული სიმძლავრის და ტარიფების გენერაცია გარანტირებული სიმძლავრის წყაროსთვის; დავების გადაჭრა ლიცენზიანტებს, მცირე თაობის ელექტროსადგურებს, იმპორტიორებს, ექსპორტიორებს, მომწოდებლებს, მომხმარებელთა და ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორებს შორის.**

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია მხარს უჭერს საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან მიახლოებას. ევროკავშირმა, მისი მეორე პაკეტის დირექტივები გააცნო წევრ სახელმწიფოებს მოთხოვნის შესაბამისად, რათა შეიქმნილიყო კონკრეტული რეგულაციები კომპეტენციების ფარგლებში (დირექტივა 2003/54 / EC). თუმცა, გამოცდილებამ აჩვენა, რომ „ჯერ არ არსებობს თანაბრად ეფექტური დონის მარეგულირებელი ზედამხედველობა თითოეული წევრი სახელმწიფოსთვის (ელექტროენერგიის დირექტივა)“. დამატებით, ელექტროენერგიის დირექტივა გულისხმობს, რომ „რეგულირების ეფექტურობა ხშირად ხელს უშლის სახელმწიფოს მხრიდან რეგულატორების დამოუკიდებლობას, ზღუდავს მათ უფლებამოსილებასა და შეხედულებებს. 2009 წლის 13 ივლისის ევროკომისიის 2009/72/EC დირექტივა გულისხმობს, ელექტროენერგეტიკის შიდა ბაზარზე საერთო წესების დანერგვას და აუქმებს 2003/54/EC დირექტივას, რომელიც



შეიცავს სპეციალურად ცალკე IX თავს ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების შესახებ., რომელიც მოიცავს სხვადასხვა მუხლებს.

ევროკავშირის კანონმდებლობის თანახმად, ნორმატიული აქტები და მისი ქმედებები შეიცავს ქცევის ზოგად წესებს და იყოფა 2 ჯგუფად - ნორმატიულ და კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებად. კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები შეიძლება გაიცეს ხელისუფლების - სამინისტროების, ადგილობრივი ხელისუფლების და გამონაკლის შემთხვევებში - დეპარტამენტების, სააგენტოების და საჯარო სამართლის იურიდიული პირების მიერ კანონის შესაბამისად. რაც შეეხება სამართლებრივ აქტებს, ასეთი ქმედებები იყოფა ნორმატიული აქტების და ინდივიდუალურ აქტების მიხედვით, როგორც ბრძანებები. ამჟამად მარეგულირებელი ორგანო ვალდებულია დაიცვას არა მხოლოდ საკანონმდებლო აქტები, არამედ კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებიც, ეს ნიშნავს, რომ მოთხოვნების 35-ე მუხლს, პირველი პუნქტის 4.ბ.ii ნორმა სრულად არ შეესაბამება.

ტარიფების დადგენის უფლებამოსილება: ელექტროენერგიის დირექტივის 37-ე მუხლის (ა) მიხედვით, მარეგულირებელი ორგანო ვალდებულია „დამტკიცების შესაბამისად, გამჭვირვალე კრიტერიუმები დაიცვას, გადაცემის ან განაწილების ტარიფის ან მათი

მეთოდოლოგიის „ მიმართ.

მონიტორინგი. მარეგულირებელის მიერ მონიტორინგის განხორციელება ერთ-ერთი მთავარი ფუნქციაა.

მონიტორინგის გამჭვირვალობის დონე გულისხმობს საბითუმო ფასებს და ელექტროენერგიის სფეროში ჩართული პირების საქმიანობის გამჭვირვალობის შესაბამისობას მათ ვალდებულებებთან.

როდესაც საქართველოს კანონმდებლობას ვადარებთ ევროკავშირის კანონმდებლობას, უნდა გავითვალისწინოთ რომ არსებობს ასპექტები, რომლებსაც ვერ შევადარებთ ჩვენს კანონმდებლობას საქართველოს ელექტროენერგეტიკული სექტორის განვითარების სხვადასხვა დონეებიდან გამომდინარე.

ამ ასპექტებს შორის არის ბაზრის ღიაობა და კონკურენტუნარიანობა, საბითუმო და საცალო ვაჭრობის დონეზე. საქართველოს ელექტროენერგეტიკაში მარეგულირებელს არ გააჩნია უფლებამოსილება მოახდინოს მონიტორინგი ბაზრის ღიაობასა და კონკურენტუნარიანობასთან დაკავშირებით, რომელიც ასევე მოიცავს ელექტროენერგიის გაცვლას, ჩართვის საფასურსა და სხვა. მარეგულირებელს არ შეუძლია ასევე მოახდინოს იმ ნორმების იმპლემენტაციის მონიტორინგი, რომელიც დაკავშირებულია გადაცემის და განაწილების სისტემის ოპერატორების, მიმწოდებლებისა და მომხმარებლის და სხვა ჩართული მხარეების როლთან და პასუხისმგებლობასთან დაკავშირებით.

რეგულაციის 714 (point (q)) შესაბამისად, ვინაიდან მსგავსი ნორმები არ არსებობს საქართველოში და ელექტროენერგიის კანონი არ ანიჭებს მარეგულირებელს უფლებამოსილებას გამოსცეს ნორმები, რომლებიც დაკავშირებულია გადაცემის ქსელის ხელმისაწვდომობასთან.

მანამ, სანამ ელექტროენეგიის შესახებ დირექტივა შევა მონიტორინგის უფრო მაღალ ფაზაში, ვიდრე დისტრიბუცია, ეს საკითხი რეგულირდება 26 მუხლის მე-3 პუნქტით ელექტროენერგიის კანონის შესაბამისად, რომელიც გულისხმობს „იქ სადაც განაწილების სისტემის ოპერატორი ვალდებულია წევრი სახელმწიფოები უზრუნველყოს, რომ განაწილების სისტემის მონიტორინგი მარეგულირებელი ორგანოების მიერ ან სხვა კომპეტენტურ ორგანოების მიერ მოხდეს, ისე, რომ მას არ შეეზღუდოს სარგებელი, რადგან მისი ვერტიკალური ინტეგრაცია ზღუდავს კონკურენციას“. მე-4 მუხლის მე-5 პარაგრაფის მიხედვით (ელექტროენერგიის კანონი ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ), მარეგულირებელი აკონტროლებს ლიცენზიანტების სალიცენზიო პირობებს.

ჯვარედინი სუბსიდირება. 37-ე მუხლის, 1-ლი პუნქტის (ვ) მიხედვით, მარეგულირებელი ვალდებულია უზრუნველყოს, გადაცემის, განაწილების და მიწოდების საქმიანობაში ჯვარედინი სუბსიდიების არარსებობა. ელექტროენერგიის კანონი (მუხლი 43) კრძალავს სუბსიდირებას ლიცენზიატის ხარჯზე, იმპორტიორის, მიმწოდებელის, სისტემის კომერციული ოპერატორის ან მომხმარებელთა სხვა კატეგორიის ხარჯზე. საკითხი ჯვარედინი სუბსიდიების გადაცემის შესახებ, ასევე განაწილების და მიწოდების საქმიანობის შესახებ არ არის, მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული.

შესასრულებლად სავალდებულო გადაწყვეტილებების გაცემა და ჯარიმების დაკისრება.

დირექტივა 2009/72 / EC-ის 37-ე მუხლის მე-4 ნაწილი ანიჭებს მარეგულირებელს უფლებას - გამოსცეს შესასრულებლად სავალდებულო გადაწყვეტილებები ელექტროენერგიის საკითხებთან დაკავშირებით. ელექტროენერგიის კანონის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით, სემეკი უფლებამოსილია გასცეს ორი სახის აქტები - დადგენილებები და გადაწყვეტილებები.

ინფორმაციის მოთხოვნა. 37-ე მუხლის მე-4 ნაწილის მიხედვით, (ც) დამსაქმებლები ვალდებულები არიან მარეგულირებელს მოსთხოვონ ნებისმიერ ინფორმაცია ელექტროენერგიის ამოცანების შესრულების შესახებ. ელექტროენერგიის კანონის მე-11 მუხლის მიხედვით, მარეგულირებელი კომისიას თავისი კომპეტენციის ფარგლებში, უფლება აქვს შეუზღუდავი წვდომა ქონდეს დოკუმენტებზე, იმპორტიორებზე, ექსპორტიორებზე, მიმწოდებელებზე. მარეგულირებელი უფლებამოსილია განიხილოს დოკუმენტები და მონაცემები მისი კომპეტენციის ფარგლებში.

უფლებამოსილება გამოძიების ჩასატარებლად.

37-ე მუხლის მე-4 ნაწილის მიხედვით, **(ბ) მარეგულირებელი უფლებამოსილია განახორციელოს გამოძიება ელექტროენერგიის ბაზრების ფუნქციონირებასთან დაკავშირებით და გადაწყვიტოს დაკისრებული, ნებისმიერი, აუცილებელი და ადეკვატური ზომების გამოყენება. მან ხელი უნდა შეუწყოს ეფექტიან კონკურენციას და უზრუნველყოს მისი დაცვა ბაზარზე.**

ამჟამად საქართველოს მარეგულირებელს არ აქვს უფლება ზედამხედველობა გაუწიოს ელექტროენერგიის ბაზარს. მიუხედავად იმისა, რომ წარსულში ჰქონდა ხელისუფლებას მონიტორინგს უფლება ელექტროენერგიის ბაზრებზე, ეს დებულებები ამოღებულ იქნა კანონიდან 2005 წლის დეკემბერში, რომელიც გულისხმობდა, რომ რეგულატორს არ აქვს უფლება გამოიძიოს აღნიშნული სფეროები. ევროკავშირის შესაბამისი მოთხოვნებით გამოძიების უფლების აღდგენა მოხდება.

აპელაცია მარეგულირებლის გადაწყვეტილებაზე. ელექტროენერგიის დირექტივის 37-ს სტატიის, მე-16 და მე-17 პარაგრაფების მიხედვით, **„გადაწყვეტილება, რომელიც მიღებულია მარეგულირებელი ორგანოს მიერ უნდა იყოს სრულიად საფუძვლიანი და სამართლიანი, ამასთან, უნდა ექვემდებარებოდეს სასამართლოზე განხილვას. გადაწყვეტილება შესაძლოა საჯაროდ ხელმისაწვდომი გახდეს მხოლოდ კომერციული ინფორმაციის კონფიდენციალობის დაცვის შემთხვევაში (პარაგრაფი 16). წევრ-ქვეყნებმა უნდა უზრუნველყონ, რომ ეროვნულ დონეზე არსებობდეს მისაღები მექანიზმი, რომლის საშუალებითაც მხარეს, რომელსაც მარეგულირებელი ორგანოს გადაწყვეტილება ეხება, უფლება ექნება მიმართოს მოდავე მხარეებისა და ნებისმიერი მთავრობისაგან დამოუკიდებელ ორგანოს“** (მე-17 პარაგრაფი)

საქართველოს ელექტროენერგიის კანონის მე-5 სტატიის მიხედვით, მარეგულირებელი გამოსცემს



რეზოლუციებს (ნორმატიულ აქტებს) და გადაწყვეტილებებს. ამ აქტების მიღება რეგულირდება კანონით ნორმატიული აქტების შესახებ და ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით. ელექტროენერგიის კანონის მე-12 სტატიის მიხედვით, კომისიის მიერ მიღებულმა რეზოლუციებმა და გადაწყვეტილებებმა უნდა გაიაროს საჯარო მოსმენა და უნდა იქნან გამოქვეყნებული. მარეგულირებელი ვალდებულია შეატყობინოს დაინტერესებულ მხარეებს ნებისმიერი რეზოლუციისა და გადაწყვეტილების შესახებ მის მიღებამდე და უნდა უზრუნველყონ ისინი შესაძლებლობით დაესწრონ მოსმენებს. მარეგულირებლის გადაწყვეტილებები შესაძლებელია გასაჩივრდეს სასამართლოში.

ენერგოეფექტურობის ხელშეწყობა. ელექტროენერგიის დირექტივის მე-3 სტატიის მე-11 პარაგრაფით, ენერგოეფექტურობის ხელშეწყობის მიზნით, წევრი-ქვეყნებს ან, მათ ვინც ამგვარად მოიაზრება, მარეგულირებელი ორგანო დაჟინებით ურჩევს ელექტროენერგიის საწარმოებში მოახდინონ ელექტროენერგიის მოხმარების ოპტიმიზაცია. მაგალითად: ენერგო მენეჯმენტის სერვისის შემოღებით, შეიმუშაონ ფასების კალკულაციის ინოვაციური ფორმულები ან შემოიღონ გონივრული დოზირების სისტემები ან გონივრული ენერგოსისტემები, სადაც ეს შესაძლებელია.

ამჟამად სემეკ-ს არ გააჩნია უფლებამოსილება ენერგოეფექტურობის ხელშეწყობის მიმართულებით. ამგვარი უფლებამოსილება მინიჭებული აქვს საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს. ტერმინი „ენერგოეფექტურობა“ არაა განმარტებული ელექტროენერგიის კანონში. არაა მიღებული კანონი ენერგოეფექტურობის შესახებ. ეს დეფიციტი გარდამავალ პერიოდში უნდა შეივსოს.


ინვესტიციების დამტკიცების უფლებამოსილება (Power to Approve investments). ელექტროენერგიის დირექტივის 22-ე სტატია ეხება მარეგულირებლის უფლებებს მიიღოს გადაწყვეტილება ინვესტირების შესახებ. ამ სტატიის მიხედვით „1. ყოველწლიურად, გადაცემის სისტემის ოპერატორები წარუდგენენ მარეგულირებელ ორგანოს ქსელის განვითარების 10-წლიან გეგმას, არსებული და საპროგნოზო მიწოდებისა და მოთხოვნის საფუძველზე, მას შემდეგ რაც კონსულტაციებს გამართავენ ყველა არსებითად მნიშვნელოვან დაინტერესებულ მხარესთან. ქსელის განვითარების ეს გეგმა უნდა შეიცავდეს ეფექტურ ზომებს რათა უზრუნველყოფილი იყოს სისტემის ადეკვატურობა და მიწოდების უსაფრთხოება: ...

ამჟამად საქართველოს კანონმდებლობა არ მოითხოვს ლიცენზიატებისგან მოამზადონ 10 წლის ქსელის განვითარების გეგმა, თუმცა, 34-ე მუხლის ელექტროენერგიის კანონმდებლობის მიხედვით ლიცენზიატი ვალდებულია, რომ მოამზადოს მარეგულირებელისთვის საინვესტიციო გეგმა (კანონი არ განსაზღვრავს, თუ რა სახის საინვესტიციო გეგმა და რა პერიოდში). მარეგულირებელი არ არის ვალდებული შეამოწმოს საინვესტიციო გეგმა (ან ქსელის განვითარების გეგმა). გარდა ამისა, მარეგულირებელი არ აქვს ეს ვალდებულებები კანონის მე-7 მუხლის 22-ე ნაწილის ელექტროენერგიის დირექტივის მიხედვითაც. ზოგადად, ელექტროენერგიის ტარიფების მეთოდოლოგიის მიხედვით, რომელიც მიღებულია სემეკის მიერ 2012 წელს, ინვესტიციების ხარჯები იფარება ტარიფებით.

არათანაბარი დამოკიდებულების მექანიზმი (Unbundling). საქართველო ერთ-ერთი პირველი ქვეყანა იყო პოსტ-საბჭოთა სივრცეში და ერთ-ერთი პირველი ქვეყანა ევროპაში, რომელმაც მოახდინა ენერგო სექტორში არათანაბარი დამოკიდებულებების unbundling მექანიზმის დამკვიდრება. 1996 წლის 4 ივლისს პრეზიდენტმა გამოსცა ბრძანებულება №437 „ენერგოსექტორის რესტრუქტურიზაციაზე„, რის საფუძველზეც ჩატარდა ვერტიკალურად ინტეგრირებული კომპანიის საქენერგოს რეორგანიზაცია და მის საფუძველზე შექმნილო 3 ფინანსურად დამოუკიდებელი ქვე-სექტორის შექმნა - გენერაცია, გადაცემა და დისპეჩერიზაცია, და განაწილება. საქენერგოს რეორგანიზაციის შედეგად

შეიქმნა 20-ზე მეტი საშუალო და მსხვილი ზომის და მრავალი მცირე-ზომის ენერგოკომპანია, 70-ზე მეტი გამანაწილებელი კომპანია, ასევე ერთი გადაცემისა და ერთი დისპეჩერიზაციის კომპანია. 1996 წელს დაფუძნდა ქართულ-რუსული გაერთიანებული გადაცემის კომპანია საქრუსენერგო, სადაც საქართველო და რუსეთი წილს 50-50%-იან წილს ფლობდა.

1998 წლიდან საქართველომ დაიწყო მსხვილი ენერგოკომპანიების პრივატიზაცია. 1998 AES Silk Road Holdings BV AES-მა შეიძინა სააქციო საზოგადოება „თელასის„ აქციათა 75%. 1999 წელს თბილსრესის ელექტროსადგურის ორი განყოფილება პრივატიზირებულ იქნა AES-ის მიერ, რომელმაც შემდგომ შეიძინა 25წლიანი მმართველობის უფლება ხრამი1 და ხრამი2 ელექტროსადგურებზე. 2000 წლიდან საქართველოს მთავრობამ გააერთიანა 66 მცირე გამანაწილებელი კომპანია გაერთიანებულ ენერგო გამანაწილებელ კომპანიასთან (UEDC). 2007 წელს Since 2000 GoG merged 66 small distribution companies into the United Energy Distribution Company In 2007 UEDC-ისა და აჭარის გამანაწილებელი კომპანიის აქტივები, ასევე 7 საშუალო ზომის ელექტროენერგიის წარმოების კომპანიები გაიყიდა ენერგო-პრო ჯორჯიაზე.



დისპეჩერიზაცია

საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა

გადაცემა

საქრუსენერგო, 50-50%-იანი მფლობელები არიან საქართველო და RAO UES (რუსული კომპანია). საქრუსენერგო ფლობს 500/300/200კვ-იან ენერგოგადამცემ ხაზებს.

საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის 100%-იან მფლობელს წარმოადგენს საპარტნიორო ფონდი.

განაწილება

სს თელასი, რომლის 75.98%-იანი წილის მფლობელია „Silk Road Holding B.V,JSC, 2000 წელს გაიყიდა RAO Nordic Oy-ზე (INTER RAO Holdings B.V.), რომელსაც ფლობს RAO UES. აქციების 24.55% ფლობს საქართველოს სახელმწიფო, რომელსაც ახორციელებს საპარტნიორო ფონდი. დანარჩენ აქციებს მცირე მინორიტარები ფლობენ.

ენერგოპრო ჯორჯიას ფლობს ენერგო-პრო. ს.ს ენერგო პრო ჯორჯია ახდენს ელექტროენერგიის გენერაციასა და დისტრიბუციას, რომელიც მოიცავს საქართველოს ტერიტორიის 70%-ზე მეტს. ენერგო პრო ჯორჯია ფლობს ამუშვებს 15 საშუალო ზომის ჰიდროელექტრო სადგურს საერთო ჯამური სიმძლავრით 469.25 მგვტ. კომანია ასევე აშენებს მარალი ძაბვის გადამცემ ხაზებს, რომელიც აკავშირებს საქართველოსა და თურქეთს.

კახეთის ენერგოდისტრიბუციას ფლობს ლიტვური ახემა ჯგუფი (Lithuanian Akhema group). კახეთის ენერგოდისტრიბუცია გაკოტრების საქმისწარმოების პროცესშია.

გენერაცია. საქართველოში 50-ზე მეტი თერმო და ჰიდროგენერაციის ელექტროსადგურები არსებობს, რომელთაგან 15 ელექტროსადგურებს ფლობს ენერგო პრო ჯორჯია, შპს „მტკვარი ენერგეტიკა“-ს ფლობს the Gardabani Holdings B.V, რომელსაც ფლობს RAO, „ხრამჰესი I„ და სს „ხრამჰესი II„ ფლობს Inter Rao, თუმცა არ გაგვაჩნია ზუსტი ინფორმაცია შპს „მტკვარი ენერგეტიკა„-ს მფლობელობის სტრუქტურაზე.

ევროკავშირის კანონმდებლობის ერთ-ერთი მთავარი ფუნდამენტური მოთხოვნაა **აპროქსიმაციის პროცესი.** ელექტროენერგიის დირექტივით „გენერაციისა და მიწოდების საქმიანობებისგან ქსელების ეფექტური სეპარაციის გარეშე, არსებობს დისკრიმინაციის რისკი არა მხოლოდ ქსელის ოპერირებაში, არამედ ვერტიკალურად ინტეგრირებულ საწარმოების სტიმულებში მოახდინონ ინვესტირება თავიანთ ქსელებში. 2003/54/EC დირექტივით გათვალისწინებული სამართლებრივი ნორმები led to effective unbundling of the transmission system operators. 2007 წლის 8 და 9 მარტს გამართულ შეხვედრაზე, ევროსაბჭომ მოიწვია კომისია განევითარებინათ სამართლებრივი წინადადებები „გენერაციისა და მიწოდების საქმიანობებისგან ქსელების ეფექტური სეპარაციისთვის„.

არათანაბარი დამოკიდებულება ელექტროენერგიის გადაცემის სფეროში(Unbundling in Transmission). საქართველოს კანონმდებლობა ელექტროენერგიაზე და ბუნებრივ გაზზე არ მოიცავს არათანაბარი დამო-

კიდებულების რედაქციას (unbundling of activities). კანონის პირველადი სახე, რომელიც გამოიცა 1997 წელს, შეიცავს განსაკუთრებულ ნორმას (30-ე მუხლი) რომელიც ეხება მფლობელობას. ლიცენზიის მფლობელს აკრძალული აქვს ფლობდეს სხვა ლიცენზიას ან სხვა ლიცენზიის მფლობელის წილს მარეგულირებლის თანხმობის გარეშე. ლიცენზიის გადაცემა მარეგულირებლის თანხმობის გარეშე აიკრძალა. აღნიშნული მუხლი ამოვარდა 2006 წლის კანონიდან და არ მიმატებია სხვა შესაბამისი ნორმა ან სხვა სამართლებრივი აქტი. ევროკავშირის მოთხოვნებთან ჰარმონიზაციის მიზნით, ელექტროენერგიისა და ბუნებრივი გაზის კანონს უნდა მიემატოს ახალი დებულება. კანონში დამატებების დამუშავების დროს ყურადღება უნდა მიექცეს საქართველოს ენერგოსექტორში არსებულ მფლობელობის სტრუქტურას.

სწორი გადაწყვეტილების მიღებისთვის, რომელიც ეხება კანონში შესატან ცვლილებებს, ელექტროენერგიის დირექტივის მოთხოვნები ,,ნაწილობრივი გაუქმების შესახებ„ უნდა გაანალიზდეს.

არათანაბარი დამიკიდებულების გაუქმება ელექტროენერგიის გადაცემაში(Derogations for unbundling in transmission). ელექტროენერგიის დირექტივა თარიღდება 2009 წლის 13 ივლისით. მუხლი 9, პარაგრაფი 4 იძლეოდა ზემოთხსენებული პუნქტების (b) და (c) გაუქმების საშუალებას 2013 წლის 3 მარტამდე - 3 წლითა და 8 თვით იმ პირობით, რომ გადაცემის სისტემის ოპერატორები არ წარმოადგენენ ვერტიკალურად ინტეგრირებული საწარმოს ნაწილს„. მსგავსი გაუქმება (derogation) უნდა გავრცელდეს ასევე საქართველოზეც.

შემდგომი გაუქმება ეხება სიტუაციებს, სადაც ორი ცალკეული საჯარო ორგანო ახორციელებს კონტროლს გადაცემის სიტემის ოპერატორზე და გენერაციაზე ან მომმარაგებელზე. საქართველოში საპარტნიორო ფონდი ფლობს გადაცემის/დისპეჩერიზაციის კომპანიის GSE 100%-ს და გამანაწილებელი კომპანიის თელასის აქციების 24%-ს. დირექტივის მოთხოვნები დაკმაყოფილდებოდა, თუკი თელასის აქციები არ იქნებოდა საპარტნიორო ფონდის მფლობელობაში და აქციების მფლობელი იქნებოდა ან თავად სახელმწიფო, ან 2 ცალკეული საჯარო ორგანო, როგორიცაა საჯარო სამართლის იურიდიული პირები(ორგანიზაციები).

როდესაც წევრ სახელმწიფოებს არ სურთ სრული მფლობელობის მიმართ არათანაბარი დამოკიდებულება(ownership unbundling) და იმ შემთხვევაში თუ 2009 წლის 3 სექტემბერს გადაცემის სისტემა მიეკუთვნებოდა ვერტიკალურად ინტეგრირებულ საწარმოს, დირექტივა არჩევანს აძლევს წევრ სახელმწიფოს დანიშნოს დამოუკიდებელი სიტემის ოპერატორი (ITO), თუმცა, სამართლებრივი, ფუნქციონალური და ბუღალტრული ასპექტით არათანაბარი დამოკიდებულება(unbundling) უნდა იქნას გამოკვლეული. თუ გადაცემის სისტემა ეკუთვნის ვერტიკალურად ინტეგრირებულ საწარმოს, მაგრამ ღონისძიებები განხორციელდა უფრო ეფექტური დამოუკიდებელი გადაცემის სისტემის ოპერატორის უზრუნველყოფისთვის, ელექტროენერგიის დირექტივით მოითხოვება წევრმა სახელმწიფოებმა შეიძლება მიიღონ გადაწყვეტილება - არ მიმართონ მფლობელობასთან დაკავშირებით არათანაბარ დამოკიდებულებას(ownership unbundling). უნდა აღინიშნოს, რომ სანამ საწარმო დაინიშნება როგორც TSO, იგი სერტიფიცირებული უნდა იქნას შესაბამისი ორგანოს მიერ.

ელექტროენერგიის დირექტივის არათანაბარი დამოკიდებულების (unbundling) მოთხოვნებიდან შემცირება/გაუქმება ეხება (Next derogation from unbundling requirements of the Electricity Directive) ახალ დამაკავშირებელ ხაზებს (interconnectors). N714 რეგულაციის მე-17 მუხლით: **1. ახალი მიმდინარე დამაკავშირებელი ხაზებს (interconnectors) ამოღებული იქნას გარკვეული პერიოდის განმავლობაში ამ რეგულაციის 15 (6) მუხლი და დირექტივის Directive 2009/72/EC მუხლი 37 (6) და (10) შემდეგი პირობებით: (a) ინვესტიციებმა უნდა გააძლიეროს კონკურენტუნარიანობა ელექტროენერგიის მიწოდების სფეროში; (b) ინვესტიციასთან დაკავშირებული რისკის დონე იმგვარია, რომ ინვესტირება არ მოხდება თუკი ინვესტორს შეღავათები არ მიენიჭება; (c) დამაკავშირებელ ხაზებს უნდა ფლობდეს ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც გამოყოფილია სისტემის ოპერატორის სამართლებრივი ფორმებიდან, რომელთა სისტემაშიც აშენდება დამაკავშირებელი ხაზები (e) როგორც ევროპარლამენტის დირექტივის 96/92/EC მე-19 მუხლში და 1996 წლის 19 დეკემბრის საბჭოს ნორმაშია მითითებული. იგი ეხება ელექტროენერგიის სექტორში შიდა ბაზარს [10], დამაკავშირებელი ხაზის კაპიტალური ან საოპერაციო დანახარჯი არ ანაზღაურდება ხარჯის ნებისმიერი კომპონენტიდან, რომელიც გამოიყენება გადაცემის ან დისტრიბუციისთვის; და (f) გათავისუფლება/შეღავათები არ უნდა იყოს ელექტროენერგიის სფეროში კონკურენციისა და ეფექტური ფუნქციონერებისათვის ზიანის მომტანი, ან იმ დარეგულირებული სისტემის ეფექტურად ფუნქციონირებისთვის, რომელთანაც დაკავშირებულია დამაკავშირებელი ხაზი„. გადაწყვეტილება შეღავათებთან დაკავშირებით მიღებული უნდა იქნას მარეგულირებელი ორგანოების მიერ.**

მხარეების მიმართ არათანაბარი დამოკიდებულება ელექტროენერგიის განაწილების სისტემაში(Unbundling in Distribution). ელექტროენერგიის დირექტივა მოიცავს მსუბუქ მოთხოვნებს დისტრიბუციის სისტემის ოპერატორთან მიმართებაში ვიდრე გადაცემის სისტემის ოპერატორთან დაკავშირებით, რადგანაც „არათანაბარი დამოკიდებულება მესამე მხარის მიმართ და ინვესტიციების მიმართ ნაკლებ მნიშვნელოვანია დისტრიბუციის სისტემის ოპერატორთან ვიდრე გადაცემის სისტემის დონეზე სადაც გენერაციის ან მიწოდების ინტერესის გავლენა ზოგადად დიდია ვიდრე დისტრიბუციის დონეზე„.

საქართველოს კანონი ელექტროენერგიაზე არ მოიცავს მოთხოვნებს დისტრიბუციის სისტემის ოპერატორების მიმართ არათანაბარ დამიკიდებულებებთან დაკავშირებით.

ქსელის საქმიანობიდან მომარაგება არ არის გა-



მოყოფილი და განაწილების განსაზღვრება მოიცავს ქსელის მომსახურებას და მომარაგებას. დისტრიბუციის საქმიანობა განისაზღვრება როგორც „... ელექტროენერგიის მიღება, დისტრიბუციის ქსელის ექსპლოატაცია და ელექტროენერგიის რეალიზაცია საცალო მომხმარებელთან.„ ელექტროენერგიის სექტორში არათანაბარი დამოკიდებულებების მოთხოვნის ეფექტი გავლენას მოახდენს სულ მცირე ერთ სადისტრიბუციო კომპანიაზე (ენერგო პრო ჯორჯია), სადაც მოხდება სამართლებრივი, ფუნქციური და აღრიცხვიანობის ასპექტების მიმართ არათანაბარი დამოკიდებულების (accounting unbundling) ხელმძღვანელობა.

გადახვევები განაწილების სისტემაში არსებული არათანაბარი დამოკიდებულებებიდან (Derogations from distribution unbundling requirements). ელექტროენერგიის დირექტივის 26-ე მუხლის მე-4 პუნქტით, წევრ სახელმწიფოს გააჩნია უფლებამოსილება არ გამოიყენოს 1-ლ, მე-2 და მე-3 პარაგრაფით გათვალისწინებული მოთხოვნები ინტეგრირებულ საწარმოსთან მიმართებაში, რომლებიც მომსახურებას უწევენ 100 ათასზე ნაკლებ მომხმარებელს. წევრი სახელმწიფოები უფლებამოსილები არიან ასევე გამოიყენონ ეს პარაგრაფები იმ საწარმოსთან დაკავშირებით, რომლებიც მომსახურებას უწევენ მცირე, გამოყოფილი სისტემების მოთხოვნებს.

წარმოსადგენი ანგარიშების ნუსხაში არშესული ანგარიაშების შენახვის მოთხოვნა(Unbundling of accounts). ელექტროენერგიის დირექტივის 31-ე მუხლის მე-2 პარაგრაფით „ელექტროენერგიის სფეროში არსებულმა საწარმოებმა, მიუხედავად მათი მფლობელობის სისტემისა და სამართლებრივი ფორმისა, უნდა დაადგინონ, წარადგინონ აუდიტისთვის და გამოაქვეყნონ წლიური ანგარიშები ეროვნული კანონმდებლობის ნორმების შესაბამისად, რომელიც ეხება შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიების წლიურ ანგარიშებს. მეოთხე საბჭოს დირექტივის 78/660/EEC (1978 წლის 25 ივლისი)შესაბამისად, რომელიც ეფუძნება ხელშეკრულებას გარკვეული ტიპის კომპანიების წლიურ ანგარიშებზე (Article 44(2)(g)). საწარმოები, რომლებსაც კანონმდებლობით არ მოეთხოვებათ წლიური ანგარიშების გამოქვეყნება, უნდა შეინახონ ეგზემპლარი სათაო ოფისებში.“

ელექტროენერგიის კანონის პირველადი ვერსია მოიცავდა მოთხოვნას, რომ ყველა ელექტორენერგიის საწარმოებმა აწარმოონ ერთიანი ანგარიშები საერთაშორისო საბუღალტრო სტანდარტების შესაბამისად, მარამ ეს მოთხოვნა ამოვარდა 2006 წლის ივნისში კანონმდებლობიდან. საქართველოს კანონს „მეწარმეთა შესახებ„ გააჩნია სპეციალური დანართი ანგარიშებზე, იგი ადგენს წესებსა და მოთხოვნებს, რომელიც მსგავსია იმ მოთხოვნებისა, რაც დადგენილია საბჭოს დირექტივაში 78/660/EEC (1978 წლის 28 ივლისის ხელშეკრულება გარკვეული ტიპის კომპანიების წლიურ ანგარიშებზე - 44-ე მუხლი 44(2)(g)). ეს მოთხოვნები ამოღებული იქნა 2006 წლის მაისში. ამჟამად, საკითხი რეგულირდება GNERC-ის დადგენილებით, რომელიც შეეხება სალიცენზიო პირობების შესრულების შესახებ ანგარიშგების ფორმების დამტკიცებას(„Approving Reporting Forms Regarding Fulfillment of License Conditions„). დადგენილება მოიცავს ფინანსურ დანართებს, რომელიც ადგენს საბალანსო უწყისს, მოგება-ზარალის ანგარიშსა და სხვა. თუმცა არ არსებობს მოთხოვნები საწარმოებისთვის შეინახონ ჩამოთვლილი დოკუმენტები. ელექტროენერგიის დირექტივის 31-ე მუხლის მე-3 პარაგრაფით „ელექტროენერგიის საწარმოებმა შიდა ანგარიშებში უნდა შეინახონ ცალკე ანგარიშები თითოეული გადაცემისათვის და განაწილების საქმიანობებისათვის რათა თავიდან მოხდეს დისკრიმინაციის ლიკვიდირება, ჯვარედინული სუბსიდირების გაუქმება და კონკურენციის შეზღუდვის თავიდან აცილება. მათ ასევე უნდა შეინახონ ანგარიშები, რომლებიც შეიძლება კონსოლიდირებული იქნას სხვა საქმიანობებისთვის ელექტროენერგიის სფეროში. ეს ეხება ანგარიშებს რომლებიც არ უკავშირდება გადაცემასა და განაწილებას. გადაცემის ან დისტრიბუციის სისტემის მფლობელობიდან მიღებული შემოსავალი უნდა

იყოს განსაზღვრული ანგარიშებში. სადაც საჭიროა მათ უნდა შეინახონ კონსოლიდირებული ანგარიშები ელექტროენერგიასთან არადაკავშირებული საქმიანობებისათვის. შიდა ანგარიშები უნდა მოიცავდეს საბალანსო უწყისს და მოგება-ზარალის ანგარიშს„. ეს მოთხოვნები დაკმაყოფილებულია ელექტროენერგის კანონის 46-ე მუხლით, რომლის თანახმად თუკი პირი ფლობს ერთზე მეტ ლიცენზიას ან სალიცენზიო საქმიანობის პარალელურად აწარმოებს სხვა ბიზნესს, იგი ვალდებულია აწარმოოს შემოსავლების, ხარჯებისა და ფინანსური შედეგების ცალკე ბუღალტერია.

ენერგეტიკულ სექტორთან დაკავშირებული კანონმდებლობა არ არის უნაკლო, მაგრამ საკმაოდ კარგია იმისთვის, რომ თავიდან ავიცილოთ სუბიექტური გადაწყვეტილებები. ყველაზე მნიშვნელოვანი საკანონმდებლო აქტებია კანონი ელექტროენერგიის და ბუნებრივი გაზის შესახებ და პარლამენტის გადაწყვეტილება სახელმწიფო პოლიტიკის მთავარი მიმართულებათა შესახებ საქართველოს ენერგეტიკის სექტორში. მიუხედავად რთული პროცესებისა რომლებიც ევროკავშირსა და საქართველოს შორის დადებული ასოცირების ხელშეკრულების საფუძველზე ენერგოსექტორში მნიშვნელოვან ცვლილებებს ითვალისწინებს მუშაობა ამ მიმართულებით უკვე მიმდინარეობს და არსებობს წარმატების მიღწევის იმედი.

ირმა ქავთარაძე,
საქართველოს საპატრიარქის წმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის დოქტორანტი

გამოყენებული ლიტერატურა:

1. 2009/72/EC of the European Parliament and of the Council of 13 July 2009 concerning common rules for the internal market in electricity;
2. Regulation (EC) No 714/2009 of the European Parliament and of the Council of 13 July 2009 on conditions for access to the network for cross-border exchanges in electricity;
3. გ. მუხიგულიშვილი, მ. მარგველაშვილი. კონკურენცია და მონოპოლია შიგა ენერგეტიკულ ბაზარზე. 2012;
4. საქართველოს პარლამენტის დადგენილება „საქართველოს ენერგეტიკულ სექტორში სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების“ თაობაზე;
5. ელექტროენერგიის (სიმძლავრის) ბაზის წესები;
6. საქართველოს მთავრობის დადგენილება №214, 21.08.2013, საქართველოში ელექტროსადგურების მშენებლობის ტექნიკურ ეკონომიკური შესწავლის, მშენებლობის, ფლობის და ოპერირების შესახებ ინტერესთა გამოხატვის წესის დამტკიცების შესახე
7.European Energy Community, Who Are We, Accessed 05/12/2014, Available from https://www.energycommunity.org/portal/page/portal/ENC_HOME/ENERGY_COMMUNITY/Who_are_we
8.European Energy Community, Contracting parties, Accessed 05/12/2014, Available from https://www.energycommunity.org/portal/page/portal/ENC_HOME/ENERGY_COMMUNIT Y/Who_are_we
9.European Commissioner for Energy to Visit Georgia, February 20, 2014, Accessed 20/11/2014, Availabe from http://en.trend.az/scaucasus/georgia/2244156.html
10.Russia Offers Moldova Gas Discount If EU Energy Links Cut, Radio Free Europe Radio Liberty, September 12, 2012, Accessed 06/11/2014, Available from http://www.rferl.org/content/russia-offer-to-moldova-cheap-gas-or-eu-treaty/24706478.html
11.Summaries of EU legislation, The Energy Community Treaty, Accessed 05/12/2014, Available from http://europa.eu/legislation_summaries/enlargement/western_balkans/l27074_en.htm
12.ელექტროენერგიის ბაზრის ოპერატორი (ესკო), 2014 წლის საქართველოს ენერგობალანსი www.esco.ge
13.ესკო, ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორი, ელექტროენერგია, ელექტროენერგიით ვაჭრობა www.esco,ge
14. საქარველოს ენერგეტიკის სამინისტრო, ელექტროენერგია, ოსტორია, Accessed 12/12/2014, Available here http://www.energy.gov.ge/energy.php?id_pages=54&lang=geo
15. საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო, ინვესტორის გვერდი, მიმდინარე მშენებლობები, Accessed 20/12/2014, Available from http://www.energy.gov.ge/investor.php?id_pages=18&lang=geo
16. ახალი მთავრობის ახალი ტარიფები, ჟურნალი ლიბერალი, Accessed 12/12/2014, Available from http://www.liberali.ge/ge/liberali/articles/113107/

SUMMARY

The paper considers the changes taking place in the power engineering sector of Georgia in the direction of the harmonization with the requirements of the Agreement of Association concluded with the European Union.

Ensuring the compliance with the requirements of the DCFTA needs the gradual adaptation of the regulations of the power engineering sector to the EU normative acts and by-laws. With the purpose of accelerating the process, the functions of the regulatory body are extended and the market is being opened. The study shows that there is no efficient regulatory supervision, which will not harm the independence of the regulators. The article underlines that in the limited transition period, the Georgian party will manage to reach the legislative harmonization with the EU requirements.